სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება № 01-05-04/37

ქ. თბილისი 9 მარტი 2018

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო თანამდებობის

დაკავების მიზნით დამატებითი პირობების დამტკიცებისა და კონკურსის გამოცხადების

შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის $ბ^2$ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის $რ^5$ ქვეპუნქტისა და მე-11 მუხლის პირველი პუნქტის $ნ^1$ ქვეპუნქტისა და უნივერსიტეტის შესაბამისი დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარდგინების საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქვემოთ ჩამოთვლილი დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების, ინსტიტუტების (ცენტრების) სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობები და სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადდეს კონკურსი დანართი №1-ის შესაბამისად:

1.1. ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტი;

1.2. ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი;

1.3. ვლ. ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტი;

1.4. არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტი;

1.5. კვების მრეწველობის ინსტიტუტი;

1.6. მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტი;

1.7. წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი;

1.8. ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტი;

1.9. ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი;

1.10. ინსტიტუტი „ტალღა“;

1.11. საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი;

1.12. ინსტიტუტი „ტექინფორმი“;

1.13. ბიოტექნოლოგიების ცენტრი;

1.14. კვანტური ფიზიკის ინსტიტუტი.

2. წინამდებარე დადგენილებით მიღებული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად გადაეცეს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი);

3. წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი) მიერ ამ დადგენილებით მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შემდეგ, სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ, ინფორმაცია გამოქვეყნდეს ბეჭდური მედიის საშუალებით და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**